

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის კიდევ ერთი სპორტული ბაზა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 19 (6580) 27 1980 წ. იანვარი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდებული საჩუქარი „შრომით რეზერვებს“

მათი სიხარულით გაბადრული სახეები ნათლად გამოხატავდნენ უდიდეს კმაყოფილებას მათზე პარტიისა და მთავრობის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ შეუნელებელი ზრუნვის გამო...

გუშინ თბილისში, ოქტომბრის ქუჩაზე „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს საწვრთნელი სპორტული ბაზის საზეიმო გახსნაზე მოსული დედაქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ათასობით მოსწავლე და აღმზრდელი გულმოდგინედ ეცნობოდა ძვირფას საჩუქარს, რომელიც ამ სისტემის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისთვის მოამზადეს.

საღამოს გაიმართა ბაზის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა და ყველას ძვირფასი საჩუქარი მიუოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. რიგვავამ.**

სიტყვებით გამოვიდნენ: „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ჯ. ვარავკო**, აკრობატიკაში ქვეყნის ნაკრების წევრი **ფ. ფირანიშვილი,** კლასიკური მოჭიდავეების მწვრთნელი **თ. კიკნაძე,** № 6 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ვიეტნამელ მოსწავლეთა ხელმძღვანელი **ნგუენ ვან-დატი,** თბილისის № 36 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული, სოციალისტური შრომის გმირი **ე. სოლომონია...**

ბაზის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ: ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა,** სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ლებედევი.**

ამრიგად, თბილისს კიდევ ერთი მშვენიერი სპორტული ბაზა შეემატა. მის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტის ავტორი, არქიტექტორი ფ. ნადარაია, კონსტრუქტორი რ. გიგოლაშვილი, „საქკურორტრემმშენის“ თბილისის სამშენებლო სამმართველოს (მმართველი გ. ღამბაშიძე) კოლექტივი. თავიანთი წვლილი შეიტანეს პროფტექსასწავლებლების მოსწავლეებმაც, რომლებიც მშენებლებს კვირაობით ეხმარებოდნენ — დაუზარებლად აკეთებდნენ მათთვის ხელმისაწვდომ საქმეს.

ამიერიდან „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენების, დედაქალაქის სახალხო განათლების სამმართველოს საშეფო სკოლების მოსწავლეების განკარგულებაში იქნება 50-მეტრიანი ტირი, კრივის (24X24 მ), აკრობატიკისა და ტანვარჯიშის (36×24 მ) საწვრთნელი დარბაზები, მძლეოსნებისთვის მანეჟი (მისი სიგრძე პირდაპირზე 134 მეტრია), 1000-ადგილიანი მთავარი სადემონსტრაციო დარბაზი, სასტუმრო 100 სპორტსმენზე და კაფესასადილო ამდენივე ადგილით. ამას გარდა, ქვედა დარბაზი დიდი შეკრებებისას ფოიეს მაგივრობას გასწევს, სხვა დროს — საჭიდაო დარბაზად იქნება გამოყენებული. ყველა ბაზა ყოველდღიურად 3000-მდე სპორტსმენს უმასპინძლებს.

...მშენებლებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდნენ სამუშაოთა მწარმოებელი გ. ალადაშვილი, დურგლები ი. ბალალაური და ს. მუკვიჩი, მებეტონე ი. პეტროსიანი, მეამწე თ. კახაშვილი და სხვები, ამ ობიექტზე მუშაობა დაამთავრეს, მაგრამ ისინი ამ მიდამოს კიდევ ალბათ 2 წელიწადს არ დატოვებენ — მახლობლად მეორე რიგის სამუშაოს შეუდგებიან: ასევე გულმოდგინედ იშრომებენ 25-მეტრიანი სახტომი კოშკებით გაწყობილი ღია აუზის აშენებაზე, სტადიონის, დახურული აუზისა და საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქციაზე.

ლ. გელაშვილი.

• • •

სურათებზე: ასეთია საწვრთნელი სპორტული ბაზის ხედი; მათი სიხარული უსაზღვროა. ქვევით — ფოიეში გამოფენას ათვალიერებენ: მარცხნიდან — მოკრივე ნ. კილანკაური, № 75 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები ც. მახარაძე და ლ. მარგიშვილი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

მაღლობა გულითადი მასპინძლობისათვის

შეხვედრა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის მოთხილამურეთა ნაკრებმა ბაკურიანში დაამთავრა ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება. 25 იანვარს საბჭოთა სპორტსმენებმა ბოლო ვარჯიში ჩაატარეს დაბის თოვლიან ტრასებზე. იმავე საღამოს ნაკრების წევრებს შეხვედრა მოუწყეს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტში.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჟ. შარტავა.** მან, აღნიშნა რა ოლიმპიადაში წარმატების უდიდესი მნიშვნელობა, სპორტსმენებს უსურვა მაღალი მიღწევები შორეულ ლეიკ-პლესიდში საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების წევრებს ჟ. შარტავამ გადასცა წიგნაკები საქართველოს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მოწოდებით: „საბჭოთა სპორტსმენებს — ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს“ და სამახსოვრო საჩუქრები.

ოლიმპიელ სპორტსმენთა სახელით გამოსულმა **ე. ბელიაევმა** გულთბილი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც შესანიშნავი პირობები შეუქმნა მათ საპასუხისმგებლო სტარტებისთვის მოსამზადებლად.

რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების მიმართ მადლობის გრძნობით იყო გამსჭვალული ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის **ვ. კამენსკისა** და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორის **ა. დუშანინის** სიტყვები.

შეხვედრაში მონაწილეობდა აგრეთვე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ი. ორჯონიკიძე.**

ნ. ბროლაძე.

* * *

ხალხმრავლობა იყო 25 იანვარს თბილისის აეროპორტში. საქართველოს დედაქალაქის საზოგადოება გულთბილად აცილებდა ოლიმპიელებს. სპორტსმენებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს. „ბედნიერი იყოს თქვენი გზა ოლიმპიადაზე, სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნება“ — წითელ ტრანსპარანტებზე დაწერილი ეს სიტყვები მიმართული იყო ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებისადმი, ოლიმპიური ჩემპიონებისადმი.

თვითმფრინავის ტრაპთან ვიღაცამ ინტერვიუს.

— გუნდში განწყობილება კარგია, — თქვა მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვ. კამენსკიმ. — მთლიანად განვახორციელეთ პროგრამა. ჩავატარეთ რამდენიმე საკონტროლო შეჯიბრება, რომლებმაც დაგვანახა, რომ ყველა მოთხილამურე ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია. ოლიმპიური გუნდის საბოლოო შემადგენლობა გაირკვევა რამდენიმე დღეში კრასნოგორსკში საკავშირო თასის გათამაშების შემდეგ.

— თითოეული ჩვენგანი მაღალ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ საბჭოთა სპორტის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე, — განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ბაუუკოვმა.—თავს არ დავზოგავთ ლეიკ-პლესიდში გამარჯვებისთვის (საქინფორმი).

● **მძლეოსნობა**

წარმატებით დაიწყეს

მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან კუბელი მძლეოსნები. ქვეყნის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე სიგრძეზე ხტომაში შარშანდელი პანამერიკული თამაშების ვერცხლის პრიზიორმა დ. ჟირალტმა მაღალი შედეგი (8,18 მ) აჩვენა. აქვე კ. მარტინესმა სამხტომში (16,58 მ) 5 სმ-ით მოუგო ხ. ვილასკესს. ხ. ხარვეზს შუბმა 85,60 მეტრი იფრინა. ქალთა შორის ამ სახეობაში ყველას აჯობა ქვეყნის რეკორდსმენმა მ. კოლონმა — 61,02.

საბჭოთა სპორტსმენები თეთრ ოლიმპიადებში

თერთმეტი „ოქრო“ ტიროლის დედაქალაქიდან

ზამთრის VIII თამაშების მონაწილენი სკვო-ველში იმ იმედით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, რომ 4 წლის შემდეგ კვლავ გადაეშდობდნენ „მახვილებს“ — ამჯერად ევროპაში. უკვე ყველამ იცოდა, რომ IX თამაშების მასპინძლობა ავსტრიის ქალაქმა ინსბრუკმა იკისრა. აქ კი შესანიშნავი ტრასებია, რომლებზეც სამოთომოთხილამურეებს მანამდეც არაერთგზის უასპარეზნიათ.

ავსტრიის ალპებში 1964 წლის 29 იანვრიდან 9 თებერვლამდე სპორტის 7 სახეობაში მედლების 34 კომპლექტისთვის იბრძოდა ევროპის, ამერიკის, აზიისა და ავსტრალიის 36 ქვეყნის 1111 მოთხილამურე, ფიგურისტი, მოციგურავე, ჰოკეისტი...

ეს ყველაზე წარმომადგენლობითი თამაშები იყო. მის პროგრამას უკანასკნელ ოლიმპიადასთან შედარებით 7 ნომერი დაემატა. სწორედ აქ გათამაშდა პირველად მედლები ქალების 5 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში, საშუალო ტრამპლინზე ხტომაში, ციგებით დაშვებაში. თავის უფლებებში აღდგა ბობსლეი და მოეწყო საჩვენებელი ასპარეზობა კერლინგში.

შეჯიბრებები ოტრანსა თუ ზეეფფელდში, ლიცუმში თუ სპორტის სასახლეში საბჭოთა სპორტსმენების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მათ 162 ქულა მოაგროვეს და შეინარჩუნეს კორტინა დ'ამპეცოში მოპოვებული უძლიერესი ნაკრების სახელი, რომელიც სკვო-ველშიც ასევე წარმატებით დაიცვეს.

ინსბრუკში საბჭოთა ნაკრების წევრებმა 11 „ოქრო“ მოიმკეს, იმდენივე, რამდენიც ნორვეგიამ (3), ომელიც გუნდურ ტურნირში I იყო, III ადგილზე გასულმა ავსტრიელებმა (4), შვედებმა (3) და ამერიკელებმა (1) ერთად. აშშ-ს ოლიმპიურმა გუნდმა სკვოველის III ადგილიდან 5 საფეხურით დაბლა დაიწია.

ჩვენი გუნდის დიდი უპირატესობა განსაკუთრებით განაპირობა მოთხილამურეების, მოციგურავეებისა და ჰოკეისტების შესანიშნავმა გამოსვლებმა. თამაშების ნამდვილი გმირი ლიდია სკობლიკოვა იყო. იმის გარდა, რომ მან ციგურაობაში ოთხივე დისტანცია მოიგო, ოლიმპიური რეკორდებიც დაამყარა: 500 მეტზე — 45,0 აჩვენა, 1000 მეტრზე — 1.33,2, 1500 მეტრზე — 2.22,6. 3000 მეტრის გარბენას კი 5.14,9 მოანდომა.

არანაკლები ნადავლით დაბრუნდა შინ მოთხილამურე კ. ბოიარსკიხი. ორ უკანასკნელ ოლიმპიადაში საბჭოთა ქალებს რბენაში ტოლი არ ჰყავდათ, მაგრამ ინსბრუკში მაინც სხვა იყო: მათ პროგრამის 3 სახეობიდან 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, ბოიარსკიხმა 5 და 10 კილომეტრზე მეტოქეებს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა — 17.50,5 და 40.24,3 აჩვენა შესაბამისად (5 კილომეტრზე ა. კოლჩინა III იყო — 18.08,4, ე. მეკშილო — IV — 18.16.7. 10 კილომეტრზე მეკშილომ — 40.26,6 და სკვოველის ოლიმპიადის ჩემპიონმა მ. გუსაკოვამ — 40,46,6 შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაამშვენეს მკერდი). მაგრამ ეს არ იყო მათი უკანასკნელი წარმატება. 3X5 კილომეტრზე ესტაფეტაში კოლჩინამ, მეკშილომ და ბოიარსკიხმა ყველა მეტოქე საგრძნობლად ჩამოიტოვეს. მოვლენებს დავასწრებთ და ვიტყვით, რომ ეს წარმატება საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა მხოლოდ 8 წლის შემდეგ გაიმეორეს.

ამრიგად, სკობლიკოვასა და ბოიარსკიხის წილად 7 ოქროს მედალი მოდის, დანარჩენი 4 კი ასე ნაწილდება: ბიატლონი (20 კმ რბენა სროლით) — ვ. მელანინი — 1:20.26,8; (ა. პრივალოვი II იყო — 1:23.42,5), 1500 მეტრზე ციგურებით ვაჟთა რბენა ა. ანტსონი — 2.10,3; წყვილთა ფიგურული სრიალი — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, ჰოკეისტთა ნაკრები.

ავსტრიიდან საბჭოთა სპორტსმენებმა სულ 26 მედალი წამოიღეს. როცა სტატისტიკოსებმა და სპეციალისტებმა სამ თამაშებში მათი „ოქროს“ ნადავლი შეაჯამეს, იგი საკმაოდ სოლიდური (25) აღმოჩნდა. ამის წყალობით ჩვენი ნაკრები თამაშების ისტორიის ცხრილში II ადგილზე დამკვიდრდა: საბჭოთა ნაკრებს ოქროს მედლების რიცხვით ასწრებდნენ მხოლოდ ნორვეგიელები, რომლებსაც არცერთი ოლიმპიადა არ გაუცდენიათ — მათ 38 მედალი აღმოაჩნდათ (კიდევ 12 წლის შემდეგ ვნახავთ, რომ ჩვენი ქვეყანა აქაც პირველი იქნება).

ტიროლის მთებში საბჭოთა მოთხილამურე ვაჟები ნაკლები წარმატებით გამოვიდნენ. მათგან საუკეთესომ ი. ვორონჩინმა მხოლოდ 2 „ბრინჯაო“ წამოიღო—30 კილომეტრზე რბენაში (ჩემპიონი გახდა ფინელი ე. მიანტიურანტა) და 4X10 კილომეტრზე ესტაფეტაში (გ. ვაგაროვთან, ი. უტრობინთან და პ. კოლჩინთან ერთად), სამაგიეროდ, ორჭიდში თავის ზენიტს სწორედ აქ მიაღწიეს—ოლიმპიადების ისტორიაში ერთადერთი „ვერცხლი“ მოიგეს (ნ. კასელიოვმა — 453,04 ქულა).

მოთხილამურე ვაჟთა შორის ფინელები ყველაზე ძლიერნი აღმოჩნდნენ. მიანტიურანტა პირველი იყო, აგრეთვე, 15 კილომეტრ მანძილზე რბენაში, ვ. კანკონენი — 70-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში. 50 კილომეტრზე ჩემპიონი გახდა ს. ერნბერგი (შვეცია). მის თანაგუნდელებს დარჩათ პირველობა 4×10 კმ ესტაფეტაშიც, ხოლო ნორვეგიელებმა 90-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობასა (ტ. ენგანი) და ორჭიდში (ტ. კნუტსენი) პირველობა არავის დაუთმეს.

მასპინძლებს ბედმა მხოლოდ ვაჟთა სამთო-სათხილამურო სპორტში გაუღიმა — სწრაფდაშვებაში (ე. ციმერმანი) და გიგანტურ სლალომში (ი. შტიგლერი) ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე (სლალომი მოიგო ფრანგმა ფ. ბონლიომ), ქალთა შორის სლალომსა და გიგანტურ სლალომში ფრანგმა დებმა მ. და კ. გოიჩელებმა აჯობეს ყველას (შესაბამისად), თუმცა სწრაფდაშვებაში აქაც მასპინძელმა (კ. ჰაასე) მიაღწია წარმატებას. რაც შეეხებათ ამერიკელებს, მათ ერთადერთი „ოქრო “მოუპოვა მოციგურავე რ. მაკმა — 44 ვაჟთან ჭიდილში 500 მეტრი ოლიმპიადების სარეკორდო დროში (40,1) გაირბინა.

ინსბრუკში საბჭოთა ნაკრების ზედიზედ რიგით მესამე და ესოდენ შთამბეჭდავმა გამარჯვებამ აღიარებულ ფავორიტებს — სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენლებს იოლი წარმატების იმედი საბოლოოდ გადაუწურა. ბევრმა ქვეყანამ საბჭოეთთან სპორტული კავშირების განმტკიცება გადაწყვიტა — მათთან ერთობლივ წვრთნაში ხედავდნენ მომავალში წარმატების ერთადერთ გზას.

აი, IX ოლიმპიადის მედლებისა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 10 საუკეთესო ნაკრების ადგილების განაწილების საბოლოო ცხრილი:

	ო.	ვ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	11	8	6	162
ნორვეგია	3	5	6	89,5
ავსტრია	4	5	3	78
გერმანიის ერთიანი გუნდი	3	3	1	75
ფინეთი	3	4	4	68
შვეცია	3	3	—	60
საფრანგეთი	3	4	—	52,5
აშშ	1	1	4	47,5
იტალია	—	1	3	23,5
კანადა	1	2	—	21

შენიშვნა: ო. — „ოქრო“, ვ. — „ვერცხლი“, ბ. — „ბრინჯაო“, ქ. — ქულა.

როცა გული გულობს

1971 წელს სამტრედიაში გაიხსნა რაიონის საჭადრაკო კლუბი, რომელმაც დიდი საქმიანობა გაიჩაღა ამ თამაშის პოპულარიზაციისთვის. აქ სისტემატურად ეწყობა რაიონული, რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის ტურნირები.

შარშან კლუბმა უმასპინძლა სოფლის ნორჩ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატს, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობას, მოსწავლეთა საქართველოს პირველობის ზონალურ ტურნირსა და სხვ.

დიდი ინტერესი გამოიწვია კლუბის მიერ ორგანიზებულმა ფესტივალმა „სამტრედია-79“, სადაც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 80-მდე მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა.

1978 წლიდან კლუბთან გაიხსნა ბავშვთა საჭადრაკო სკოლა. მის 11 ჯგუფში გაერთიანებულია 240 ნორჩი მოჭადრაკე, თამაშის საიდუმლოებას მათ 9 მწვრთნელი ასწავლის. აღსაზრდელებისთვის სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა ტურნირი. შარშან ზაფხულში 42 ნორჩი მოჭადრაკე ერთად ისვენებდა აგარაკ კვერეთში (საჩხერის რაიონი), სადაც მათ საჭადრაკო გაკვეთილებსაც უმართავდნენ.

— სამტრედიელები ჭადრაკისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებენ, ყოველ წელს იზრდება სკოლაში სწავლის მსურველი, — ამბობს საჭადრაკო სკოლის დირექტორი ა. მაჩიტიძე. — მაგალითად, წლეულს 50 გოგონა და ბიჭუნა მივიღეთ. ჩვენი სკოლის ბასაგლი [illegible] რამდენიმე წელზეა გაანგარიშებული. ყველა კურსდამთავრებულს სათანადო დიპლომი მიეცემა.

კარგი საქმე წამოიწყო კლუბმა შარშანწინ, როცა დასაბამი მისცა საქართველოს პირველობას მიწერ-მოწერით თამაშში. კლუბის ინიციატივას მხარი აუბეს მოჭადრაკეებმა და შეჯიბრებაც გაჩაღდა, 1 იანვარს სტარტი აიღო II ჩემპიონატმა.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ყველაფერი არაა საბოლოოდ მოწესრიგებული, მაგრამ საერთო მონდომება და ხელისშეწყობა ახალი ზღუდეების დაძლევის უყუარი საწინდარია.

ი. ნიკოლეიშვილი.

სამტრედია.

ღირსეულად დაფასდა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჭიათურის დაარსების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დააჯილდოვა ჭიათურის „განთიადის“ მწვრთნელი კლასიკურ ჭიდაობაში **შოველი შალვას ძე ხვედელიძე.**

შ. ხვედელიძემ ამ 20 წლის წინ პირველად შექმნა მაღაროელთა ქალაქში ჭიდაობის სექცია. თვითონ როგორც სპორტსმენი, მრავალგზის იყო საქართველოს ნაკრების წევრი და რესპუბლიკური ასპარეზობის პრიზიორი, მონაწილეობდა საკავშირო პირველობებში. შ. ხვედელიძე პირველი სპორტის ოსტატია ჭიათურაში. მან, როგორც გულისხმიერმა და ენერგიულმა მწვრთნელმა ბევრ ახალგაზრდას შეაყვარა სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა — ჭიდაობა. შოველი ხვედელიძის ბევრმა აღზრდილმა ფალავანმა ისახელა თავი როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზეც. მან შეასწავლა ჭიდაობის საიდუმლოებები საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, მრავალ საკავშირო და საერთაშორისო პირველობებში გამარჯვებულ რ. აბრამიშვილს, საკავშირო პირველობების მრავალგზის პრიზიორს თ. ტყემალაძეს, საქართველოს ნაკრები გუნდის ყოფილ წევრს ი. ბუხნიკაშვილს, სპორტის ოსტატებს ნ. ბერუჩევს, ო. კუსიანს, ა. აბაშიძეს, გ. ბარჯაძეს, ა. ჯიქურიძეს და სხვებს. დღეს საქართველოს ნაკრებ გუნდში ირიცხება ხვედელიძის აღზრდილი, სპორტის ოსტატი ა. ქველიაშვილი. მზარდი, პერსპექტიული მოჭიდავეა ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი გ. ლომძე.

ვინ იცის, რამდენი თანრიგოსანი სპორტსმენი გამოუზრდია შ. ხვედელიძეს ამ ორი ათეული წლის მანძილზე.

როდესაც ჭიათურის სპორტული საქმიანობის ავ-კარგზე ვსაუბრობთ, უსათუოდ აღნიშვნის ღირსია კლასიკური ჭიდაობის სექციის მუშაობა. აქაური „კლასიკოსები“ წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ პირველობებსა და სპარტაკიადებში. შარშან რესპუბლიკის VII სპარტაკიადაზე ჭიათურელები მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ III ადგილზე გასულ აჭარის კოლექტივს.

მწვრთნელ შ. ხვედელიძეს ერთი პრობლემა აწუხებს — როდესაც მზარდი სპორტსმენები სკოლებს ამთავრებენ, სხვადასხვა ქალაქებში მიდიან სწავლის გასაგრძელებლად. იქ კი ბევრი თავს ანებებს ვარჯიშს. ჩვენ ქალაქში, თუ არ გავითვალისწინებთ ერთადერთ მე-20 პროფტექნიკურ სასწავლებელს, ტექნიკუმიც არ არის.

ვუსურვებთ ამაგდარ მწვრთნელს შ. ხვედელიძეს სპატიო ჯილდოს და გვჯერა, რომ იგი მის მუშაობაში კიდევ მეტ ენთუზიაზმს და მონდომებას შეიტანს.

გ. ბარჯაძე,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

„ნაცნობი სახეები“

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლი ერთ თვეს მასპინძლობდა საქართველოს სსრ კულტურის დაძსახურებული მუშაკის, ფოტოჟურნალისტის დ. მძინარიშვილის პირველ პერსონალურ ფოტონამუშევრების გამოფენას — „ნაცნობი სახეები“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი ცნობილი ადამიანების: მწერლების, მეცნიერების, მხატვრების, მსახიობებისა და სხვათა ფოტოები. ცალკე ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს სპორტსმენთა ფოტოსურათებს. აქ ნახავდით ისეთ აღიარებულ ათლეტთა პორტრეტებს, როგორიცაა თავის დროზე იყვნენ ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, რომტომ აბაშიძე, თინათინ ლეკვეიშვილი და სხვები.

აქვე იყო იმ სპორტსმენთა ფოტოებიც, რომლებიც დღესაც აქტიურად ასპარეზობენ დიდ სპორტში; მაია ჩიბურდანიძე, ვლადიმერ გუცაევი...

და მაინც, გამოფენაზე ჩოგბურთელთა ნაცნობი სახეები სჭარბობდა. ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ფოტოჟურნალისტის შვილები ლეონარდი და ნუგზარი თავის დროზე რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელები იყვნენ.

ა. რაჰველიშვილი.

* * *

გთავაზობთ სურათს გამოფენიდან: წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სლავა მეტრეველი ნაჩუქარი ჩოგანით.

რამდენიმე სტრიქონით

ლანჩხუთი

მოეწყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ სარაიონო პირველობა ფეხბურთში, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩიბათისა და ნიგოითის გუნდები.

ჩიბათელებმა (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე თ. ჩახვაძე, მწვრთნელი თ. ჩხაიძე) დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, გაიმარჯვეს ანგარიშით 8:1 და მოიპოვეს პირველობა.

* * *

მოეწყო რესპუბლიკური გაერთიანება „საქსახკომსოფლტექნიკის“ პირველობა ფეხბურთში, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ადიგენისა და ლანჩხუთის გუნდები.

საინტერესო თამაში დამთავრდა ადიგენის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

ა. ორმოცაძე.
(ჩვენი კორ.).

● ხელგურთი

ორივე გუნდით

თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზში დამთავრდა ქალაქის პირველობა ხელბურთში 1962-64 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

ასეთი შეჯიბრება კარგა ხანია არ ჩატარებულა, ამიტომ მისასალმებელია ქალაქის სპორტკომიტეტის ეს წამოწყება. თუმცა ქალაქის თითქმის ყველა რაიონში, ყოველ სპორტულ სკოლაში სექციები და ჯგუფები არსებობს, მაგრამ ამ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების რაოდენობა მაინც თითზე ჩამოსათვლელი იყო — გოგონათა და ვაჟთა ათიოდე კოლექტივიდან ოთხი ქალაქის განათლების სამმართველოს სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას ეკუთვნის. რაიონებიდან მხოლოდ კიროველები იყვნენ წარმოდგენილი, ხოლო სპორტული კოლექტივებიდან — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ხელბურთელები.

ხუთი დღის ბრძოლების შემდეგ პირველობა მოიპოვეს განათლების სამმართველოს გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა (მწვრთნელები ო. შაქარაშვილი და რ. ჭანტურია). მათ თამაშში, სხვებისაგან განსხვავებით იგრძნობოდა გაზრდილობა, მოთამაშეთა მზადების შედარებით მაღალი დონე. ეს კოლექტივები ფაქტიურად საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებებია და მომავალში დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, რათა მათი გამოსვლა საკავშირო სარბიელზე წარმატებითი იყოს.

გოგონებში გათამაშების მესამე პრიზიორი კიროვის რაიონის გუნდი გახდა, ჭაბუკებში — „განთიადისა“.

შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ დაწესებული იყო რამდენიმე პრიზი. საუკეთესო მეკარეებად აღიარებულ იქნენ რ. ჯიმშელიძე და დ. გელაშვილი, მინდვრის მოთამაშეებად — ქ. ჩეჩელაშვილი და ი. გუბერმანი (ყველა — თბილისის განათლების სამმართველო), საუკეთესო ბომბარდირი გახდა გ. მანუკიანი („განთიადი“) — 58 ბურთი, საუკეთესო მსაჯის პრიზი გადაეცა ზ. ჩერტკოვს.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია ასეთივე შეჯიბრების ჩატარება 1965-66 წლებში დაბადებულ სპორტსმენთათვის. ვიმედოვნებთ, იგი უფრო საინტერესოდ ჩაივლის და მასში მონაწილეთა რაოდენობაც გაიზრდება.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX

● თავისუფალი ჭიდაობა

შუვეი არ ყოყმანობს

— **ეს უკვე** მეტისმეტია! ბოლოს და ბოლოს..., — ფრანცის შუვეი წამით შეყოვნდა და უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

... ყველას თავისი საქმე, თავისი საზრუნავი აქვს. ზოგი რითაა დაკავებული, ზოგი კიდევ — რით. სპეციალისტები სიაზლეებს ზვერავენ, მწვრთნელები ორთაბრძოლისათვის ამზადებენ ბიჭებს, უკანასკნელ დარიგებას აძლევენ, მაყურებლები კი საინტერესო პაექრობის მოლოდინში გასუსულან ტრიბუნაზე. შვეიცარიელი ფრანცის შუვეი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელია და ყველაფერს უნდა მიადევნოს თვალი. მსაჯობაზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, ხალიჩაზე ტურნირის პირველი დღის უკანასკნელი ორთაბრძოლის მონაწილეებს — მერაბ ხითარიძესა და თიმურ ხაცუკოვს უხმეს.

— თავად მსაჯი გახლავართ და ბუნებრივია, გულგრილი ვერ ვიქნები. ობიექტურობის პრობლემის გადაჭრას ფედერაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს. ბოლო პერიოდში არაერთი ექსპერიმენტი ჩატარდა. ზოგმა გაამართლა, ზოგმა — არა. ისე, პროგრესი აშკარად იგრძნობა, თუმცა, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევი და დასაზუსტებელია. თუნდაც პასიურობისთვის მოჭიდავის დასჯა. ზოგიერთი მსაჯი უმნიშვნელო პასიურობისათვის აფრთხილებს სპორტსმენს, ზოგი კი პირიქით — სანამ საქმეში გვერდითი მსაჯები არ ჩაერევიან, „ხმას“ არ იღებს. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ხშირად აწყობს მსაჯთა სემინარებს, რასაც ბევრი სარგებლობა მოაქვს. სემინარების მოწყობა აუცილებელია. თვითონ ჭიდაობა იცვლება, ვითარდება, ახალი ფანდები ჩნდება და ბუნებრივია, გადახალისება სჭირდება შეფასების კრიტერიუმებსაც.

— უკვე გამართულ შეხვედრებზე რას იტყოდით?

— თბილისის ტურნირს კვალიფიციური, გამოცდილი მსაჯები ემსახურებიან და საკმაოდ კარგადაც. პირველი შთაბეჭდილება დადებითია, მაგრამ უკეთესის სურვილი ყოველთვის თან სდევს ადამიანს. მსაჯი მანქანა არ არის. შეცდომა ვის არ მოუვა, მაგრამ შეცდომასაც გააჩნია.

... და თითქოს ამ საკითხზე პასუხის გაცემას ჰგავდა ის, რაც ხალიჩაზე მოხდა. ხითარიძემ ბიჭებზე გააკრა მეტოქე. მსაჯის სასტვენი დუმს. რამდენიმე წამში ხალიჩაზე სიტუაცია განმეორდა. ისევ დუმს მსაჯის სასტვენი...

* * *

როცა საღამოს შეხვედრები განახლდა, ყურადღების ცენტრში ქვემძიმე და მძიმე წონის ფალავნები აღმოჩნდნენ. 100 კგ წონით კატეგორიაში სხვებთან ერთად ლევან თედიაშვილიც ასპარეზობს. ლევანი პირველ წრეში თავისუფალი იყო. როცა ხალიჩაზე დონეცკელი ილია მატე და თბილისელი მალხაზ მერმანიშვილი გამოიძახეს, უნებლიედ შარშანდელი ტურნირი გამახსენდა. მაშინ მეტოქენი მეხუთე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს. მატეს უპირატესობა აშკარა იყო — 16:1. და საერთოდ, შარშანდელ სპორტულ სეზონში მატემ ჩინებულად იასპარეზა — შთამბეჭდავად გაიმარჯვა თბილისის ტურნირში და უძლიერესის სახელი არც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე, არც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ დაუთმია.

სტარტზე მოპოვებული თუ დაკარგული ქულა ბევრ რამეს განსაზღვრავს, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მერმანიშვილი უთუოდ რევანშის წყურვილით გამოვიდა ხალიჩაზე. რა თქმა უნდა, ქართველმა ფალავანმა კარგად იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ, როცა ათასობით გულშემატკივარი იმედით შემოგყურებს, ტიტულები რა მოსატანია.

პირველი პერიოდი. მერმანიშვილი შეტევაზე გადადის. მატე ფრთხილობს და ისჯება კიდეც. მალხაზმა ჯერ ჩოქბჯენში გადაიყვანა მეტოქე — ქულა, შემდეგ ტრიალი და კიდევ 2 ქულა. მატეს საპასუხო ილეთს მსაჯები ქულით აფასებენ, მაგრამ პასიურობისთვის პერიოდის მიწურულს გაფრთხილებას ღებულობს — 1:4.

პაექრობა ერთდროულად სამ ხალიჩაზე მიმდინარეობს. ცხარე ბრძოლაა გამართული მსოფლიოს ჩემპიონ ანატოლი პროკოპჩუკსა (სსრკ, 90 კგ) და ირიჯოუ დაავანემს (მონგოლეთი) შორის. პირველ ხალიჩაზე კი ძველი მეტოქეები — სოსლან ანდიევი და ბორის ბიგაევი ხვდებიან ერთმანეთს. პროკოპჩუკს 4 წუთი დასჭირდა წმინდა გამარჯვების მოპოვებისათვის, ბიგაევმა მესამე პერიოდში ტრავმა მიიღო და ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო.

იური შახმურადოვი და მისი კოლეგები მესამე ხალიჩას არ მოსცილებიან. როგორც ჩანს, მწვრთნელებს ყველაზე უფრო მატე — მერმანიშვილის დუელი აინტერესებთ.

მეორე პერიოდში მატე შესამჩნევად გააქტიურდა. ეტყობა, ტაქტიკური მოსაზრებით იხახავდა ძალებს. მერმანიშვილი დაიღალა — დროის ამ მონაკვეთში ერთი ქულის აღება მოახერხა. მეტოქენი ბოლო შესვენებაზე წავიდნენ. ტაბლოზე ანთია ციფრები — 5:4, ეყოფა კი ერთქულიანი უპირატესობა ქართველ მოჭიდავეს?

როგორც შემდეგ გამოჩნდა, მერმანიშვილმა მთელი ენერგია შეხვედრის პირველ წუთებს შეალია და ყველაფერი ამან გადაწყვიტა. მესამე პერიოდში მატემ კიდევ უფრო გაზარდა ტემპი, მოწინააღმდეგეს ქულის აღების საშუალებაც არ მისცა და გაიმარჯვა — 11:5.

ახლა ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა, მერმანიშვილს ბრძოლის სხვა ტაქტიკა რომ აერჩია, თუმცა ერთი რამ ცხადია — მატე ჭეშმარიტად ძლიერი მოჭიდავეა. რა თქმა უნდა, წინ კიდევ ბევრი შეხვედრაა და სხვა ფავორიტებიც შეეცდებიან თქვენ სათქმელი.

მერმანიშვილის ბედი გაიზიარა ამირან ქვილითაიამ (ძმიმე წონა). იგი ნიკოლოზ სკრიპკინს ხვდებოდა. მართალია, პირველ წუთებში თანაბარი ბრძოლა წარიმართა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ სკრიპკინის უპირატესობა აშკარა იყო. ქვილითაიამ სამი გაფრთხილება მიიღო და დამარცხდა.

ივან იარიგინმა და მაგომედ მაგომედოვმა ოთხიოდე წუთში მოათავეს საქმე. პირველმა ამერიკელი ბონა დაამარცხა, მეორემ კი — ჩეხოსლოვაკიელი სტარანოსკო.

ორჯონიკიძელი ძმიმეწონოსნის მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სოსლან ანდიევის გამარჯვებაზე უკვე ვთქვით. ვადაზე ადრე მოიგო შეხვედრა მისმა თანამქალაქელმა ალოევმა. მან ბულგარელი დინგოვი დაამარცხა. თბილისელი ჯემალ ტარიელაძე ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოს თასის მფლობელს ვლადიმერ პარშუკოვს შეხვდა. მსაჯებმა პასიურობისთვის ორივე სპორტსმენს წაგება ჩაუთვალეს.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი 90 კგ წონით კატეგორიაში. ანატოლი პროკოპჩუკის გარდა აქ წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს კიეველმა ალაშ დაუდოვმა, მოსკოველმა სანასარ ოგანესიანმა და ყრასნოიარსკელმა ვლადიმერ ბატნიამ. კარგ სპორტულ ფორმაშია მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შორის, სოხუმელი გიორგი ყურაშვილი. პირველ წრეში მან შავი დღე აყარა ჰირიუკ რუდრიგეს (გდრ) და 5 წუთში დაამარცხა. ახლა დიდ ინტერესს იწვევს მისი შეხვედრა პროკოპჩუკთან. წარმატების შემთხვევაში ყურაშვილს საპატიო კვარცხლბეკზე ადგილის დაკავების კარგი შანსი ექნება.

მკითხველმა უკვე იცის, რომ 82 კგ წონაში პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა თემურ საჯაიამ. აქ ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ორი წარმომადგენელი (ნუგზარ მეტრეველი და ვლადიმერ მოდოსიანი) გამოდის. სამწუხაროდ, პირველ წრეში ორივემ მარცხი იწვნია. მეტრეველმა წააგო რუმინელ ტიბორ შერეგელისთან, ხოლო მოდოსიანმა — მსოფლიოს ჩემპიონ მაგომედ არაცილოვთან.

ამასობაში განახლდა 48, 52, 57 და 62 კგ წონის მოჭიდავეთა შეხვედრები. რომან დმიტრიევმა (48 კგ) მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად, ირანელი ამირ ტეგერანი დაამარცხა. სერგეი კორნილაევმა წმინდად მოუგო ამერიკელ ბილო ოროზატს, ხოლო ალეჭი დიოდოროვმა — ბულგარელ ალე ახმედოვს. თბილისელი ნარიმან ჯაფაროვი 3,5 საჯარიმო ქულით აგრძელებდა შეჯიბრებას. მეორე წრეში მისი მეტოქე მონგოლი ლგახ გვატარი იყო. ჯაფაროვმა ამჯერად კარგად წარმართა შეხვედრა და ქულებით გაიმარჯვა.

აგერ უკვე მერამდენე წელია დაბალ წონით კატეგორიებში ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები წარმატებებს ვერ აღწევენ. როგორც ჩანს, იგივე მდგომარეობაა დღესაც. მჩატე წონაში ერთადერთი ქართველი სპორტსმენი — ანზორ კაპანაძე ჯაპარეზობდა, მაგრამ ორივე შეხვედრაში წმინდად დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა მუზიაშვილმა (57 კგ). მეორე წრეში მან რუმინელ ნიაგუსთან წმინდად წააგო და ასევე მაყურებლებში გადაინაცვლა.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თბილისელი სარდანიშვილი (62 კგ). ამჯერადაც ვადაზე ადრე გაიმარჯვა შპოიტერთან (გდრ) შეხვედრაში და ახლა 0 საჯარიმო ქულა აქვს. უხეირო სტარტის შემდეგ წარმატებას მიაღწია გივი კოკნაძემაც, როცა ქულებით დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი სულთან ხათაგოვი.

ტურნირის პირველ დღეს ყველაზე დრამატული მაინც მერაბ ხითარიძისა (62 კგ) და თიმურ ხაცუკოვის ორთაბრძოლა გამოდგა. ამ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ხაცუკოვს 4 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. ქართველმა ფალავანმა კი პირველ წრეში წმინდად მოიგო და ფინალისკენ გზის გასაკაფავად უნდა ეზრუნა.

შეხვედრის პირველი წუთები. ხითარიძე მოწოდების სიმაღლეზეა — დგომშიც უგებს მეტოქეს და ჩოქბჯენშიც აგროვებს ქულებს. ხაცუკოვი გამოცდილი ფალავანია და ასე იოლად არ დაყრიდა ფარ-ხმალს. ილეთი წამოიწყო, მაგრამ ხითარიძემ დაასწრო, წელში შეუვარდა, მაგრად შემოაჭდო ხელები, ერთი დაიქნია და ბეჭებით ძირს დაანარცხა. მსაჯის სასტვენი დუმს. ხაცუკოვი ოდნავ მოწყდა ხალიჩას, მაგრამ ისევ ბეჭებზე აღმოჩნდა. არბიტრი, თითქოს არაფერი მომხდარაო, კვლავ დუმს.

— ეს უკვე მეტისმეტია, ბოლოს და ბოლოს ყველაფერს საზღვარი აქვს, — უკმაყოფილოდ აქნევს თავს ფრანცის შუვეი, — ახლა შეიძლება ის ბიჭი მსაჯის უსამართლო გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდეს. სხვისა არ ვიცი, მაგრამ თუ რამე მესმის ჭიდაობისა, აქ საყოყმანო არაფერია.

ერთი კი არის, რომ ამ ინციდენტით გამოწვეული აეიოტაჟი დიდხანს არ გაგრძელებულა. ხითარიძემ კვლავ ბეჭებზე დასცა მეტოქე. ისე დასცა, რომ ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა.

ე. ბერიშვილი.

●

გუშინ

რ. დმიტრიევმა (48 კგ) დაამარცხა ნ. ჯაფაროვი, ს. კორნილაევმა — ა. ახმედოვი. ამ წონით კატეგორიაში ფინალში გავიდნენ დმიტრიევი, კორნილაევი და დიოდოროვი (სამივე — სსრკ). მ. ხითარიძე (62) დამარცხდა მ. აბუშევთან და შეჯიბრებას გამოეთიშა. ბ. სარდანიშვილმა დათმო შეხვედრა ნ. ჩარგალთან, მეორე წრეში კი წმინდად დაამარცხა ი. შიმანსკი და 3,5 საჯარიმო ქულით აგრძელებს ასპარეზობას. მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ვ. კოტორაშვილმა (68), ს. აბსაიდოვმა და ნ. პეტრენკომ. გ. მაკასარაშვილმა (74) ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო და ახლა 3 საჯარიმო ქულა აქვს. თ. ხაჯაიამ (82) მესამე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. გ. ყურაშვილი (90) დამარცხდა ა. პროკოპჩუკთან, შემდეგ კი წმინდად მოუგო ი. დავაანემს (მონგოლეთი). ლ. თედიაშვილმა (100) მეორე წრეში ვადაზე ადრე დაამარცხა ჯ. ბორი (მონგოლეთი), შემდეგ კი დათმო შეხვედრა ი. იარიგინთან. მ. მაგომედოვმა სძლია ი. მატეს.

* * *

ს ურ ა თ ებ ზ ე: ზევით მარცხნივ — ტურნირის გახსნის აღლუმზე; ვ. კოტორაშვილისა და მ. ელპიდიოს (კუბა) შეხვედრის მომენტი; ქვევით, მარცხნიდან — ლ. თედიაშვილი მორიგ გდებას უტარებს ჯ. ბორის (მონგოლეთი); გ. სარდანიშვილისა და შპოიტერის (გდრ) ორთაბრძოლა; „დრო ამოიწურა“ — ანიშნებს ამერიკელი მსაჯი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ოლიმპიადის ბოიკოტის წინააღმდეგ

ვაშინგტონი. ზაფხულის მომავალ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული აშშ-ის ადმინისტრაციის ბინძური პოლიტიკური თამაშის კრიტიკით გამოვიდა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი რობერტ კეინი. მან აღნიშნა, რომ მსგავს მანევრებს მხარს არ უჭერენ მსოფლიოს სხვა ქვეყნები. ვაშინგტონის ცდები, დაითანხმოს მოკავშირეები მხარი დაუჭირონ მის პოზიციებს, დაუშვებელია. „ასეთი მოქმედება აკრძალულია ოლიმპიური ქარტიით“, — ხაზი გაუსვა მან.

ნიუ-იორკი. „ოლიმპიური თამაშები ერთი ქვეყნის საკუთრება არ არის. იგი ოლიმპიურ მოძრაობაში შემავალ ყველა სახელმწიფოს ეკუთვნის, — განაცხადა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დონალდ მილერმა. — საბჭოთა კავშირი არ არღვევს ოლიმპიურ ქარტიას და ამიტომ მოსკოვიდან თამაშების გადატანის არავითარი საფუძველი არ არსებობს“.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დენის ფოლოუზმა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის მოთხოვნა მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე მოწმობს მის მიერ ოლიმპიური მოძრაობის წესების „აბსოლუტურ უცოდინრობას“. ფოლოუზმა თქვა, რომ მთავრობის მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია.

მადრიდი. ესპანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გამოდის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის წინააღმდეგ. კომიტეტის თავმჯდომარემ ბენიტო კასტეხონმა ეროვნულ რადიოში მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „წინადადება ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის, ან მისი სხვა ქვეყანაში გადატანის თაობაზე, აბსურდია“.

ბრიუსელი. ბელგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა რაულ მოლემ გაკიცხა ვაშინგტონის მისწრაფება გამოიყენოს სპორტი პოლიტიკურ იარაღად. მისი სიტყვებით, პრეზიდენტ ჯ. კარტერის იდეა თამაშების ბოიკოტის შესახებ, — „თეთრი სახლის მიერ წინასწარ დაგეგმილი აქციაა“.

ანტანანარივუ. მადაგასკარის სპორტსმენები გადაწყვეტით უარყოფენ აშშ-ის ცდას ოლიმპიადა-80-ზე ბოიკოტის გამოცხადების გამო და იგი მიაჩნიათ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული მოძრაობის დივერსიად, — განაცხადა მადაგასკარის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გენერალურმა მდივანმა შარლ რანაველამ.

სან-ხოსე. ცენტრლური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების სპორტული ორგანიზაციების პრეზიდენტმა გ. რიეკეჰოფმა აღშფოთება გამოთქვა ვაშინგტონის მოქმედების გამო, რომელიც ცდილობს სპორტი გამოიყენოს გარკვეული პოლიტიკური სარგებლობის მოპოვების იარაღად.

მეხიკო. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის გენერალურმა პრეზიდენტმა, მექსიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს რანიამ მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ის პოზიცია. კარტერის მუქარა, — აღნიშნა მან, სხვა არაფერია გარდა პოლიტიკური მანევრისა, რომელიც ძირს უთხრის ოლიმპიურ მოძრაობას.

ტოკიო. აქ გაიმართა იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენარული სხდომა, რომელშიც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსკოვის ოლიმპიადისთვის იაპონელ სპორტსმენთა მზადების თაობაზე. (საკდესი).

ქრონიკა

● ფიგურული ციგურაობა

ისევ ლინიჩუკი და კარპონოსოვი

მოსკოველებმა ნ. ლინიჩუკმა და გ. კარპონოსოვმა გეტებორგში გამართულ კონტინენტის პირველობაზე მოიკიკვავე წყვილთა შეჯიბრებაში მეორედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. მათ 205,5 ქულა მოაგროვეს (ადგილების ჯამი 11), მეორე საბჭოთა წყვილი — ი. მოისეევა და ა. მინენკოვი III ადგილზე გავიდა. II ადგილზეა უნგრელთა დუეტი — კ. რეგოცი და ა. სალაი.

ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტები — მოსკოველი ფიგურისტები ნ. ბესტემიანოვა და ა. ბუკინი VI ადგილზე არიან — 189,52 (54).



სურათზე: ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი.

● ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი

სტოკჰოლმი. ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი, VII ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა მოჭადრაკეებმა კიდევ უფრო გაზარდეს თავიანთი შანსები ევროპის გუნდური ჩემპიონობის მოსაპოვებლად: ისინი უკვე 6 ქულით უსწრებენ II ადგილზე მყოფ ინგლისის ნაკრებს.

გადადებული პარტიების შემდეგ სსრ კავშირისა და ისრაელის გუნდების საბოლოო შედეგია 6:2 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ. გამარჯვებები მოიპოვეს ბალაშოვმა, ვაჰანიანმა და იუსუპოვმა. დარჩენილ, დასკვნით ტურში ჩვენი მოჭადრაკეები უნდა შეხვდნენ იუგოსლავიელებს, რომლებმაც გათამაშების ფინიშზე ზედიზედ 2 დამარცხება იწვნიეს ინგლისელებისა (2:6) და უნგრელებისაგან 3,5:4,5. თავიანთ მხრივ ინგლისელებმა კარგად ითამაშეს VI ტურის მატჩი შვედებთან და გაიმარჯვეს — 4,5:3,5.

მოგვყავს კიდევ ორი შეხვედრის შედეგები: ჩეხოსლოვაკია — ბულგარეთი 5:3, უნგრეთი — ისრაელი 3,5:4,5.

ბოლო ტურის წინ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 31,5 ქულა, ინგლისი — 25,5, იუგოსლავია — 25, უნგრეთი — 24, ისრაელი — 23, ჩეხოსლოვაკია — 22, ბულგარეთი — 21,5, შვეცია — 19,5.

სტარტი რიგაში

რიგა, 26 იანვარი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატ ვაჟთა ტრადიციული ჩემპიონატი, რომლის 16 მონაწილეს შორის ერთადერთი ქალია— მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძე.

წილისყრით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ს. ლპუტიანი (ერევანი), 2. ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა), 3. საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩეხოვი (მოსკოვი), 4. ა. ხარიტონოვი (ივანოვო), 5. ბ. გავრიკოვი (კიევი), 6. ი. პოლოვოდინი (ლენინგრადი), 7. ა. ივანოვი (ლენინგრადი), 8. საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი (თბილისი), 9. ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისი), 10. ზ. ეინგორნი (ლატვია), 11. ზ. ლანკა (რიგა), 12. ე. კენგისი (რიგა), 13. ლ. ფსახისი (რსფსრ), 14. ლ. იურტაევი (ფრუნზე), 15. მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), 16. ე. მაგერამოვი (ბაქო).

I ტურში მხოლოდ 5 პარტია დამთავრდა. ზაიჩიკმა კარგად გამოიყენა აზმაიფარაშვილის უზუსტო თამაში უფიმცევის დაცვაში და გაიმარჯვა. ჩიბურდანიძემ ვლადიმიროვთან უარესი პოზიცია მიიღო შავებით ძველინდურ დაცვაში. ალმაათელმა მოჭადრაკემ შეძლო უპირატესობის რეალიზება.

ლპუტიანმა დაამარცხა მაგერამოვი, იურტაევმა — ჩეხოვი. ყაიმით დამთავრდა ახალგაზრდა ოსტატთა შარშანდელი ჩემპიონის ფსახისისა და ხარიტონოვის შეხვედრა.

3 პარტია გადაიდო.

II ტურში ჩიბურდანიძე შეხვდა ჩეხოვს, რომელმაც შავებით ესპანური პარტიის ღია ვარიანტი გაითამაშა. მკვირე გართულებების შემდეგ ბრძოლა ენდშპილში გაგრძელდა, სადაც მაია უგეგმოდ თამაშობდა და დამარცხდა.

ამ დღეს გამიმარჯვეს ივანოვმა ლანკასთან და ფსახისმა — გავრიკოვთან.

ზაიჩიკმა გადადო პარტია ეინგორნთან, აზმაიფარაშვილმა — მაგერამოვთან. ზაიჩიკს ხარისხი აქვს, მაგრამ ყაიმის შანსს ინარჩუნებს, აზმაიფარაშვილს ზედმეტი პაიკი და მოგების შესაძლებლობა აქვს.

● თხილამურები

ორი თასი

ბაკურიანში გაიმართა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდების ორი საკავშირო შეჯიბრება რბოლებსა და ბიატლონში.

ასპარეზობაში „ბაკურიანის თასებისთვის“ პირველნი მრბოლელები ჩაებნენ. ქალები 5 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველაზე სწრაფად დისტანცია ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კულაკოვამ („ტრუდი“, იჟევსკი) გაირბინა — 15.07. მეორე შედეგი ჰქონდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ი. სუსლოვას („ტრუდი“, ტოლიატი) — 15.17. მესამე ადგილზეა სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. სმეტანინა (სოფლის სპორტსაზოგადოებები, სიკტივკარი) — 15.18.

ვაჟები 15-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ. უძლიერესი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. ზიმიატოვი (მოსკოვის ოლქი, „სპარტაკი“) — 43.13. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სიკტივკარელი ვ. როჩევი („დინამო“) — 43.37 და სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი არმიელი ს. საველიევი — 44.03.

საინტერესო იყო ბიატლონისტთა შეჯიბრება 20 კილომეტრზე. იგი არმიელი სპორტის ოსტატის ა. ლეონტიევის ტრიუმფით დამთავრდა — 34.20. პრიზიორთა შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ტიხონოვი („დინამო“) — 34.30 და სპორტის ოსტატი მ. ვინოგრადოვი („ტრუდი“) — 35.13.

ტელეფონით „ლელოს“ კორ.

● კალათბურთი

გუშინ თბილისის „დინამომ“ ჩემპიონატის მეთხუთმეტე მატჩი გამართა. იგი შეხვდა ვილნიუსის „სტატიბას“ და დამარცხდა — 82:89.

● ფეხბურთი

„ნედელიას“ ტურნირზე

მოსკოვში მიმდინარე „ნედელიას“ საერთაშორისო ტურნირზე ფეხბურთში გამოვლინდნენ ლიდერები: **პირველ ჯგუფში** — მოსკოვის „სპარტაკი“ და ბუდაპეშტის მტკ, ხოლო **მეორეში** — ცსკა და ლვოვის „კარპატი“.

სპარტაკელებმა მოუგეს ტაშკენტის „ფახთაქორს“ — 1:0, ხოლო უნგრელებმა დაამარცხეს ფინეთის ოპს-ი—6:2. ორივე გუნდს 6-6 ქულა დაუგროვდა.

ცსკა-სა და „კარპატის“ 4-4 ქულა აქვთ, თუმცა არმიელებმა მატჩით ნაკლები ჩაატარეს. 25 იანვარს მათ დაამარცხეს „კარპატი“ —2:0.

«სპორტლოტო»

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მეოთხე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6—49“-დან:

პირველი: 3 (აკრობატიკა), 10 (საბუერო სპორტი), 37 (სროლა), 42 (ძალოსნობა), 45 (ფეხბურთი), 48 (ჭადრაკი). შეღავათიანი ბურთულა 13 (საწყლოსნო თხილამურები).

მეორე: 7 (ბიატლონი), 18 (ქალაქობანა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 40 (ტურიზმი), 41 (ჩოგბურთი), 48 (ჭადრაკი). შეღავათიანი ბურთულა — 6 (კალათბურთი).

„სპორტლოტო 5—36“-დან:

პირველი: 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (ფრენბურთი), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 24 (ხელბურთი).

მეორე: 1 (კალათბურთი), 11 (ტანვარჯიში), 29 (ტყვიის სროლა), 34 (ფეხბურთი), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

29 იანვარს

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში

ტარდება გამოჩენილი საბჭოთა მთამსვლელის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის

ალიოშა ჯაფარიძის

დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამო

დასაწყისი 19 ს.

საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

მძლეოსნობა. „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლე. **27 იანვარს. „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს იუნიორთა პირველობა.** დასაწყისი 11 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. სპორტის სასახლე. **28 იანვარს. საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — აშშ (ნაკრები).** დასაწყისი 18 ს.

● ფეხბურთი

„კიკერის“ აზრით

დასავლეთგერმანულმა სპორტულმა ჟურნალმა „კიკერმა“ გამოაქვეყნა ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელთა ყოველწლიური კლასიფიკაცია.

მეკარეებს შორის არავინ მიიჩნიეს უმაღლესი, ე. წ. „მსოფლიო კლასის“ ფეხბურთელად. 3 მეკარე მიეკუთვნა მომდევნო, „საერთაშორისო კლასს“. ესენი არიან გფრ-ის ნაკრების წევრები ნიგბური („შალკე 04“) და ბურდენსკი (ბრემენის „ვერდერი“), აგრეთვე, შუმახერი („კიოლნი“).

განაპირა მცველებს შორის „მსოფლიო კლასის“ ფეხბურთელად მიიჩნიეს მხოლოდ კალეი („ჰამბურგერ შპორტფერაინი“), ხოლო „საერთაშორისო კლასის“ მოთამაშეებად — დიეი („დუისბურგი“) და ბ. ფოსტერი („შტუტგარტი“). როგორც ცნობილია, სამივენი შედიან გფრ-ის ნაკრებში. რაც შეეხება ცენტრალურ მცველებს (ლიბერო), „მსოფლიო კლასს“ არც ერთი მათგანი არ მიეკუთვნა. „საერთაშორისო კლასის“ მოთამაშეებად ჩათვალეს კულმანი („კიოლნი“), ნოიბერგერი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“) და ფიხტელი („შალკე 04“). მათგან ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ კულმანი შედის. აქვე დაასახელეს დიეიც, რომელიც თანაბარი წარმატებით თამაშობს როგორც განაპირა, ისე ცენტრალურ მცველად. წინა ცენტრალურ მცველებს შორის (სტოპერი) ორი მიიჩნიეს „საერთაშორისო კლასის“ მოთამაშედ: კ. ფორსტერი („შტუტგარტი“) და ბრიგელი („კაიზერსლაუტერნი“).

შუა ხაზის მოთამაშეებს შორის „მსოფლიო კლასის“ მოთამაშედ აღიარეს მხოლოდ ბრაიტნერი (მიუნხენის „ბაიერნი“), „საერთაშორისო კლასის“ მოთამაშეებად — გრაბოვსკი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“) და ჰ. მიულერი („შტუტგარტი“). საინტერესოა, რომ ბრაიტნერს, ასეთი დიდი აღიარების მიუხედავად, პრინციპული მოსაზრებებით არ იწვევენ გფრ-ის ნაკრებში, საიდანაც იგი ადრინდელმა მწვრთნელმა ჰ. შიონმა გამოიყვანა უცხოეთში წასვლისთვის.

ცენტრალურ თავდამსხმელებს შორის „მსოფლიო კლასის“ ფეხბურთელად მიჩნეული იქნა რუმენიგე (მიუნხენის „ბაიერნი“), „საერთაშორისო კლასის“ მოთამაშეებად — ფიშერი („შალკე 04“) და კ. ალოფსი (დიუსელდორფის „ფორტუნა“).

მარჯვენა გარემარბებს შორის ჟურნალმა არავინ მიიჩნია არც „მსოფლიო“, არც „საერთაშორისო კლასის“ ფეხბურთელად. თითქმის იგივე მდგომარეობაა მარცხენა გარემარბებს შორის, სადაც „საერთაშორისო კლასის“ ფეხბურთელად აღიარეს მხოლოდ და მხოლოდ ვეტერანი ვოლკერტი („შტუტგარტი“).

გარდა ამისა, ჟურნალმა დაასახელა ბუნდესლიგის 10 საუკეთესო უცხოელი მოთამაშე: 1. ბუმ კუნ კა (სამხრეთ კორეა, თამაშობს მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტში“), 2. კიგანი (ინგლისი, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“), 3. ბულიანი (იუგოსლავია, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“), 4. ჰელსტრიომი (შვეცია, „კაიზერსლაუტერნი“), 5. პეცეი (ავსტრია, მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“), 6. იარა (ავსტრია, „დუისბურგი“), 7. ჰოლცერი (იუგოსლავია, „შტუტგარტი“), 8. ნილსენი (დანია, მიონხენგლადბახის „ბორუსია“), 9. პოპივოდა (იუგოსლავია, ბრაუნშვაიგის „აინტრაჰტი“) და 10. ჰატენბერგერი (ავსტრია, „შტუტგარტი“).

ბუმ კუნ კა და კიგანი „კიკერმა“ ჩათვალა „მსოფლიო კლასის“ მოთამაშეებად, ხოლო ბულიანი, ჰელსტრიომი და პეცეი — „საერთაშორისო კლასის“ ფეხბურთელებად.

გ. თორელი.

● ფეხბურთი

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; ხამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორკუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 10015